№ 71 აპრილი 9, პარასკევი 1893 აპრილი 9, პარასკევი № 71

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**კნეინა ანნა გიორგის ასული ჩოლაყაშვილისა შვილებითურთ** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პარასკევს, 9 ამა აპრილს, დილის ათ საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც წირვა იქმნება და ანდერძი აეგება გარდაცვალებულს **თავად ერასტ ზაალის ძე ჩოლაყაშვილს.** შემდეგ მიცვალებულის გვამს წაასვენებენ დასასაფლავებლად ს. მატაანს, თიონეთის მაზრაში.

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის ამით აცხადებს, რომ წლიური კრება ამ საზოგადოების წევრთა დანიშნულია მდგომარე აპრილის 22-სათვის საღამოს შვიდს საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის შენობაში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი კითხვები:

ა) ანგარიში წარსულის წლისა.

ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა.

გ) რა გამოარკვია გამგე კომიტეტმა მოწვეულ პირებთან საერთო მსჯელობის შემდეგ იმ საკითხის გამო, თუ რა სახით მოეწყოს მომავალში ტფილი ის სათავად-აზნაურო სკოლის საქმე.

დ) მოსაზრება გამგე კომიტეტისა იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვონ საკუთარი სადგომი სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის.

(3—1)

## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგვზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგვზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

## საყოველთაო საყურადღებოდ

ბოდიშს ვიხდი ჩვენის განათლებულის საზოგადოების წინაშე, იმ საზოგადოებისა, ანუ უკედ ვსთქვათ, იმ ერთ მუჭა ინტელიგენციის წინაშე, რომელიც შეიარაღებულია მეცნიერებით, გამოცდილებით და საქმის ცოდნით და რომელსაც, საცა სამართალია, თითონ უნდა მიექცია ყურადღება იმისათვის, რაც მე უნდა მოგახსენოთ. მეტი ღონე არ არის, მე, ერთმა უბრყვილო ტეტია კაცმა, უნდა ჩამოვაგდო ლაპარაკი ისეთის საგნის შესახებ, რომელიც ჩემის აზრით, დიდად საგულისხმიეროა და დიდს შემუშავებასაც მოითხოვს. კარგა ხანია ველი და არიქნა, ერთმა კრინტი არ დაძრა ამ საგანზედ, თითქო გაფიცებულები არიან ერთმანეთშიო.

სამწუხაროდ, ჩვენმა განვითარებულმა ხალხმა უფრო მეტი იცის ევროპის ავ-კარგიანობისა, ვიდრე თავის მიწა-წყლისა. ბევრი მათგანი გარკვევით და შეუფერხებლივ აგიხსნით, ევროპის რომელ კუთხეში რაგვარი სისტემაა მეურნეობისა; რეინისა თუ სენის ნაპირებზედ რა ნიადაგია, რამდენი პროცენტია იმაში თიხა, თუ ქვიშა, კირი, შავი მიწა და სხ. და სხ. თავის ბალის ამბავსკი ვერ აგიხსნით, რადგან იმის ბალში არც ერთს გეოლოგს გამოკვლევა არ მოუხდენია, რომ წაიკითხოს მისი ნაწერი და ჩვენც აგვიხსნას

ღმერთმანი, ნუ თუ, როცა რუსეთის უკანასკნელ წლების უბედურება გვესმის, საცა ისე მწარედ მოსთქვამენ რუსეთის მეურნეობის დაქვეითებას, სახნავ-სათესის გაუღონოებას დ გამოფიტვას, ერთხელ ფიქრადაც არის არ უნდა მოგვივიდეს ის აზრი, რომ შეიძლება ჩვენც ჩავცვივდეთ იმ გაუნელებელს ცეცხლში, რომელშიაც დღეს რუსეთია, რომ შეიძლება ჩვენს კარზედაც დაიჩოქოს იმ აქლემმა?

1890 წელს თითქმის სათითაოდ დავიარე ზემო-ქართლის სოფლები დ ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: იმდენი არ მოგვივიდა პირნახული, რომ ღალა მოვიშოროთო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თურმე აგრე სახარბიელო მოსავალი არც წინა წლებში მოსულიყო. აღარა გვეშველა-რა, მამული გაუღონოვდა და მოსავალს არ იძლევაო. ნაკლები მოსავალი იყო მეტადრე სურამის მიდამოში. ასე იფიქრეთ, თურმე თითონ მებატონენიც-კი თავიანთ მამულებს თავს ანებებენ და საკალატოზიშვილოში ჰხნავენ. საკალატოზიშვილო-კი, რამდენადაც მე ვიცი, უფრო ამ უკანასკნელს 10—15 წლებში გატყდა, თორემ ბოლოს დრომდე კიდეც შეჰხვდებოდი ალაგ-ალაგ ყამირებს და დაუძრავს მიწებს. მაღლობი ადგილები ისეა მთლად ჩამორეცხილია რომ კირნარევს ნიადაგზე დამდგარა. ამისთანა ალაგას თესლის ჩაბნევაც-კი აფსუსია. ვაკეები კიდევ მამულის სივიწროის გამო განუწყვეტლივ ყოველ წლივ იხვნის.

მაგალითად, საბაშიოში, თითქმის მთელს ზემო-ქართლში ანეულის ხსენება არ არის. მომკიან თუ არა, მაშინადვე ხელახლად ჰხვნენ და თითქმის მაშინადვე ჰფარცხვენ. შემდეგ კიდევ მომკიან და თან გუთანსაც დაადევნებენ. ერთის სიტყვით, მამულს ერთი თვევ არა აქვს მოსვენება, ანეულადა ჰხნავდნენ მაისში და ისე არჩენდნენ. კიდევ ჰო-ჰო, თუ მიწას შეუძლია ძალა მოიკრიფოს, მაგრამ, მოგახსენებთ, საბაშიოში ნიმუშად ვერა ჰნახავთ ანეულს. კიდევაც დიდი ღვთის წყალობაა, რომ ამოდენასა სძლებს მამული. მაგრამ ღმერთი იმითა ჰშველიაო, რომ ვაკეა და ნიაღვრები ვერა ჰრეცხვენ, და მეორეც ისა, რომ აქ სახნავები ურწყავია. მაგრამ როდემდის? ზღვა კოვზით დაილიაო. ნუ თუ ერთხელაც არის უკანასკნელი ძალაც არ მოაკლდება? მე ვიცი, შეაპატივებენ! ეს იმათ კონდაკში ირა სწერია. თუ არა და ვინ უნდა შეაპატიოს, ან ვისი მამული? წელს ერთი გლეხი მოჰხნავს, მერმის—მეორე, შემდეგ—მესამე და ასე ამ რიგად იცრცვნება მათის ცხოვრების ერთად-ერთი წყარო. კურთხეულიშვილი მებატონე-კი აცილებს საბრალო გლეხ-კაცებს ერთმანეთში. სამი კოდი ღალა დღიურზედ, ე. ი. სულ ცოტა 15--16 ფუთი, ორი თუ სამი მუშა, დანარჩენი კიდე ფული, ვინც რას დაახარბებს, მხოლოდ არა ნაკლებ ორის მანეთისა. «ანაღვლე ბუღიასა, თუ ბზე ქარს მიაქვს და პური ურიასა»! როგორა ჰფიქრობთ, რჩება-ღა რამე მხვნელ-მთესველს გლეხს თითონ ამ ხარჯის შემდეგ? არა მგონია... ჩემის აზრით-კი თუ ჰხნავენ იმისთვის, რომ ბზე მაინც აიღონ; ძირში სთიბავენ და არა მკიან, რადგან მათის ცხოვრების უმთავრესი სახსარი ტივის ხვების ზიდვაა. აბა რას იზამ—პური რომ შორიდგან მოიტანო, ბზეს ვერ მოიტან.

აიღეთ ახლა სარწყავი. ხშირად შეჰხვდებით ქართლის სოფელში, რომ გლეხი კაცი ერთის დღის მიწაში აძლევდეს 40 თუმანს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამის გვერდზედვე მდებარე მეორე დღიურში ოც მანეთსაც ძლივს გაჰზედავს. რადა? იმიტომ რომ პირველი შეპატიებულია, მოვლილი, ე. ი. ნაფუზვარია, ხოლო მეორე საბეგრო ცხენივით აგდებული და გაუბედურებული. ეხლა ვიტყვით, ევროპაში მამული ძვირიაო. საცა კარგია, წილადობაზედ იქაც ძვირია და აქაც. თორემ ეს ვითარება და გარემოება რომ იქ იყოს, იქნება იქაც ისეთივე ფასი დაედოს. მერე ბევრი აქვს ქართველს გლეხს საკუთრება? აბა რაღა თქმა გინდათ, რომ თითქმის მთელი ქართლი თავად-აზნაურობისაა დ გლეხთა საკუთრებამ, იქნება, 5% ვერ შიადგინოს. მაშასადამე? მაშასადამე ის, რომ ახში დაგვატყდება რისხვა ზენასი. ბევრს ვიცემთ მაშინ თავში, მაგრამ გვიან-ღა იქნება.

ტფილისის მაზრაში ორბელიანთ, ბარათაანთ, გაბაანთ და სხვათა მებატონეთა სოფლებში ოქტომბერში გლეხ-კაცობას პური აკლდა. იმ თავითვე პურით გათქმული სოფლები დღეს შემოდგომაზედვე პურსა ყიდულობდნენ. ვიფიქრე, ნუ თუ ზემო-ქართლის ბედი დასტყდომია-მეთქი. ბატონო, ეს შვიდი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მოსავალი აღარ მოგვსვლიაო, მიპასუხეს გლეხებმა, როცა შევეკითხე ამ საგნის გამო. მართალია, გლეხმა ხალხმა იცის წუწუნი და ბედის დამდურება, მაგრამ განა იმათ არ იცოდნენ, რომ მე „ჩინოვნიკი“ არ ვიყავ და ხარჯის მომატებისათვის არ ვემუსაიფებოდი. თუ არა და აქ რა კოდელი ნინო უნდა, როდესაც ჩემის თვალითა ვხედავდი, რომ ფქვილს ტფილისში ყიდულობდნენ.

ერთგან არ ვიანგარიშე და ორგან. მებატონეს რომ თავისი მისცეს, თესლი აიღოს, მოსახნავ-დასაფარცხი, მომკა მუქთად ულით. მაშ რა გაცხოვრებთ, სხვა რა სახსარი გაქვთ ცხოვრებისა-მეთქი?—დავდივართ ქირაზედ, ვმუშაობთ ქალაქში, ვყიდით თრიმლსა, ყურძენსა ან ცოტ-ცოტა ხილსა და ვყიდულობთ პურს, თუ რამ გადავარჩინეთ სხვა ხარჯსაო.

რას იზამ? რაც მართალია, მართალია. ეს სოფლები ხომ სულ საბატონოებია და გლეხ-კაცს საკუთრებად არც შეპატიებული აბადია და არც შეუპატიებელი.

ავიღოთ ახლა გარე კახეთი, დაწყებული ტფილისიდგან, მთელი ივრის ხიობა და ქიზიყი. ეს უფრო სახელმწიფო სოფლებია, გარდა მცირე ნაწილისა. აქ შეჰხვდებით უზარ-მაზარს ტრიალს მინდვრებს, რომლებსაც თავი ცალ მხრივ სოფლებთან უდევთ და ბოლო-კი, ვინ იცის, სადამდის არის გაჭიმული ძაღლის ენასავეთ. ეს ბოლოები სიშორის გამო თითქმის ხელ-უხლებელია, გარდა იმისა, რომ აძოვებენ ცხვარს ან ძროხას და ხანდისხან სთიბვენ. აქ მათ გაუმჯობესობაზედ, კულტურაზედ სირცხვილიც-კია ხმა ამოვიღო. თორემ ცნობილია, რომ სისტემა

# ფელეტონი

### შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წ., 4 ივლისს

თელავი და გაღმა მხრის სოფლები

(დასასრული *)

თელავის ყარაულებმა, როდესაც შილდის ცეცხლის წაკიდება დაინახეს, „ნაჩალნიკს“ აცნობეს, ლეკის ჯარი ჩამოსულაო. მაშინ ნაჩალნიკმა საჩქაროდ, ვინც-კი მოახელა, შეაგროვა და მოვაჰრე ხალხს, ვისაც თავის დღეში თოფი ხელში არ აეღო, უბრძანა: ეხლავ უნდა შილდას მივეშველოთო!.. ამ ჟამად თელავში მოსულიყო რუსეთიდგან კოტე ჭავჭავაძე, განათლებული ყმაწვილი კაცი, ახალი ცოლ-შერთული, ნათესაობის სანახავად, და რა-კი ნაჩალნიკისაგან ეს ამბავი გაიგო, კოტეც თან გაჰყვა!..

ამხედრებულთ გასწიეს კონდოლზედ ალაზნის ფონისაკენ, რადგან ჯერ ხიდი არ იყო და ზემოდ ალაზანში ცხენით გასვლა ძნელი იყო; როგორც ჩავიდნენ და ზოგნი შევიდნენ კიდეც წყალში, იქით მხრიდამ ლეკის ჯარიც მოადგა ალაზანს გამოსასვლელად; იმათ ესენი რომ დაინახეს დასცეს იქიდამ კიჟინა და გამოაშურეს ამათკენ ცხენები!..

ამ დროს საცოდავი კოტე ჭავჭავაძე შუა ალაზანში შესულიყო, ჰკრეს თოფი და გადააქციეს წყალში!.. რა ნაჩალნიკმა კოტეს მოკვლა ნახა, დაუძახა ხალხს: ჩვენი მანდეთ გასვლა აღარ შეიძლება, დაბრუნდითო!.. და გამოატრიალეს უკანვე ცხენები და და სულ ჭენებით გასწიეს თელავისაკენ. რომელსაც მარდი ცხენი არა ჰყვანდა და მოეწივნენ, დაიჭირეს; დაიჭირეს აგრედვე რამდენიმე სომეხი და ტყვედ წაიყვანეს!..

ერთს თელავის მოქალაქეს ნაფარეულში ქალი ეძლეოდა. მოქალაქე სულ ამას ამბობდა: თუ ქალი არა ვნახე, უნახავად ცოლს ვერ შევირთავო. ქალის პატრონები არ ეშვებოდნენ, ჩვენი ადათი არ არის, ქალი ვისმე გავასინჯოთო. ამ ბიჭს ერთმა გამოცდილმა კაცმა ურჩია: მაგაზედ რა გაწუხებს, ისინი თუ არა ყაბულობენ, რომ ქალი გაგაშინჯონ, შენ ჩუმად ერთს ვაჭარს ვისმე გაჰყე, ვითომ იმის მოჯამაგირე ბიჭი ხარ. უბრალო ტანისამოსი ჩაიცვი და შენი აღა-კი დაარიგე იმათსა მივიდეს და უთხრას: „კარგი ფარჩა მოვიტანე და, თუ გენებებათ, ნახეთო; ისინი, რასაკვირველია, ფარჩეულობის ნახვას მოინდომებენ და შენც ქალი გასინჯეო... საქმროს ეს რჩევა ძალიან მოეწონა და ისეც მოიქცა. რომ მივიდნენ და ვაჭარმა კარგი ფარჩის მიტანა აცნობა, მაშინვე ბოხჩები შეატანინეს, რაგინდარა დასინჯეს და შემდგომ სასიდედრომ საკაბის ყიდვა მოინდომა; ოთხი-ხუთი ქალი ბოხჩას გარს შემოეხვია და საქმროს დავთარი დაეკარგა და არ იცოდა, იმის საცოლო რომელი უნდა ყოფილიყო, ადგა და აღა გამოიხმო და შეეხვეწა: მომიხერხე როგორმე და გაიგე, მაგის ქალი რომელიაო. ისიც დაჰპირდა, გამობრუნდა სასიდედროსაკენ და ეშმაკობითა სთქვა: ამ საკაბეს რომ ჰყიდულობ, დალოცვილო, ხატითა და ჯვარითაც რომ დაიფიცო, მაშინაც არ დავიჯერებ, რომ ამისთანა შალი არშინი მანათად იყიდოვო!.. სასიდედრომ იმ ქალს ხელი დაადო და სთქვა: ეს შვილი არ მომიკვდეს, ზედ რომ კაბა აცვია, მაგ შალის ჯურაა და მანათად არის ნასყიდი!.. ამათაც ამის გაგება უნდოდათ, ვაჭარმა საკაბე მიჰყიდა, გაზომას მოჰყვა და საქრმომ ქალს სინჯვა დაუწყო; ნახა, რომ ყვავილისაგან გაჯიჯგნილი არის და თვალებზედ ლიბრი აქვს გადაკრული, ამისათვის გაუსინჯველად მოტყუებით გასაღება უნდოდათ!.. ბოლოს აალაგეს თუ არა, შინისკენ გამოსწიეს და საქრმო გზა და გზა პირჯვარს იწერდა და ამბო-

*) იხ. „ივერია“ № 70.

მეურნეობისა იმ მამულებში, რომლებიც სოფლებზე ახლოა, საშინელი ბარბაროსულია და მიწის გამატიალებელი. ხშირად ორ-სამ სოფელს ერთი საერთო განუყოფელი მინდორი აქვთ, ასე რომ აქ არა თუ ყველა დღიურს მიწას თავისი გულის შემატკივარი პატრონი არა ჰყავს, სოფელსა და სოფელ შუაც არ არის გაყოფილი და გამიჯნული. ერთმანეთის ჯიბრით მწვანილის ფასად აძლევენ საძოვრად გარეშე ხალხს, უფრო თუშებს და თათრებს, ასე რომ ხშირად მზად მოსულს თავიანთ ჭირნახულსაც იმათ ფარებს ანაცვალებენ ხოლმე. და ეს ახლო მდებარე მამულები-კი თვით მცხოვრებლებისაგან იცრცვნება და იწეწება ულმობელად. ვინც ვის მიასწრობს, ისა ჰხნავს; მომკი კიდევა და თუ ჩქარა არ გამოასწარი ათეულები, მოვლენ ერთს მშვენიერს დღეს რვა-ცხრა უღელ ხარით და გუთნით, თქვენს ძნას გვერდზედ გადააბრძანებენ და მიწას წაუგდებენ გულ-არხეინად გუთანს. რა ძალა შეგიძლიანთ? განა რომ ამ მამულს ხმის ამოღება შეეძლოს, მწარედ არ აქვითინდებოდა? ნუ თუ ეს მიწა, დედა მიწა იგივე ნამუს ახდილ დიაცის როლს არა თამაშობს?!. ურწყავი მამული კიდევ, რაც უნდა იყოს, ხანგრძლივად შეირჩენს ძალ-ღონეს, მაგრამ, თქვენი მტერი, რომ სარწყავებია დაღუპული: პურს სთესთ და შვრია-კი ჰშვით. შიდა-კახეთზედ-კი ბევრს ვერას მოგახსენებთ, იმისი ამბავი, შეიძლება, თქვენ თვითონ ივარაუდოთ, თუ თვალით არ გინახავთ.

ერთის სიტყვით ის მამული რომელსაც გულის შემატკივარი პატრონი არა ჰყავს, დღეს თუ ხვალ იმდენად გაჯანდაკდება და გაუძლურდება, რომ მერე იქნება ბევრიც ვაპატიოთ, მაგრამ ველარა ვუშველოთ-რა. დავარდნილს საქონელს, ძრიელაც რომ ხელი შეუწყო, ძნელად თუ მოიყვან არსებაში.

რაკი მამული გაილახება და დაუძლურდება, გვალვაც მალე მოერევა და ავდარიც. ამ გარემოებაშია ჩავარდნილი თითქმის მთელი რუსეთი. ჯერ ისევ მესამოცე წლებში უწინასწარმეტყველებდნენ საუკეთესო მამულის შვილნი ასეთს უკიდურესობას და ახში არ ასცდათ. იქაურს „მუჟიკსაც“ რომ შეეკითხო, ისიც იმას გეტყვის: ეს ამდენი და ამდენი წელიწადია, ჩვენში მიწა მოსავალს აღარ იძლევა— აღარც პურს და აღარც თივასაო.

ნუ თუ დასავლეთ ევროპაში უფრო ადრე არ მისდევდნენ ხვნა-თესვას? რატომ იქ არ მოიღალა და არ გაჯანდაკდა მამულები? ეს მგონია იმიტომა ხდება, რომ იქაური მამულის პატრონი ისე-კი არ უცქერის თავის მიწა-წყალს, როგორც კატა ძეხვს და როგორც იარმუკაზედ საქირავებელს ცხენს.

დასასრულ, უნდა ვსთქვა, რომ რამდენადაც ვაკვირდები ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს, იმდენი უფრო-და-უფრო მიცხოველდება ის აზრი, რომ თუ დროზედ არ მივეშველეთ საქმეს, დაღუპამდის დიდი მანძილი აღარ დაგვრჩენია.

სოფლელი

# ახალი ამბავი

*** თანხმად ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. ლ. ი. მაღალაშვილის თხოვნისა, მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ კახეთის რკინის გზა გამოკვლეულ იქმნას ამიერ კავკასიის ინჟენერების მიერ მაშინ, როცა ბორჯომის რკინის გზის გამოკვლევა გათავდება, იმ პირობით-კი, რომ ხარჯი გამოკვლევისა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა იკისროს.

*** ბორჯომის რკინის გზის გამოკვლევა ამ თთვის განმავლობაში გათავდება. ეხლა შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას, რომელიც აგრედვე მალე გათავდება. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგ გზათა სამინისტროს წარედგინება.

*** ოთხშაბათს, 14 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე თ. მიხეილ ერისთავისა, რომელიც გორის მაზრის მოხელედ და ეგზეკუციის უფროსად იყო. ეს საქმე წინად ოლქის სასამართლომ გაარჩია და თ. ერისთავს მიუსაჯა ყოველ ღირსების ჩამორთმევა და ციმბირში სამუდამოდ გადასახლება.

*** შაბათს, 10 აპრილს, პირველი კრება იქმნება იმ კომისიისა, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია სახაზინო ქონებათა სამინისტროს მოხელე დეისტ. სტატ. სოვეტნიკი მედვედიევი და რომელმაც უნდა მოაწყოს სახელმწიფო და საბატონო გლეხთა ყოფა-ცხოვრების და მამულის მფლობელობის საქმე ამიერ კავკასიაში და აგრედვე ბათუმისა და ყარსის ოლქებში, რუსეთთან ახლად შემოერთებულ ქვეყნებში.

*** განმგე კავკასიის მკურნალთ მმართველობის „ლაბორატორიისა, მაგისტრი ხიმიისა ვ. გ. სტრუვე ყოველ დღე იკვლევს ქიმიურად ტფილისის ჰაერს. შარშან ხოლერიანობას ჰაერში ბევრი ნახშირ-მჟავი ყოფილა, მეტადრე იმ დროს, როცა ხოლერა უფრო მძვინვარებდა. ამჟამად-კი ჰაერს ნახშირ-მჟავის მომატება ანუ დაკლება სრულიად არ ეტყობა.

*** როცა ტფილისმა ავჭალიდგან მილით წყაროს წყალი გამოიყვანა, მაშინ ქალაქის სამმართველომ წინად აქ გამართული ბ-ნ ყორღანოვის მტკვრიდგან წყალის ამომყვანი მანქანა შეისყიდა იმ იმედით, რომ ბ-ნ ყორღანოვს რამდენიმე პირობის ქაღალდი აქვს შეკრული სხვა-და-სხვა სახლის პატრონებთან და ეს პირობის ქაღალდები მათთვის სავალდებულო იქმნება და ქალაქი ისარგებლებსო. ეხლა აღმოჩნდა, რომ ეს იმედი უსაფუძვლო ყოფილა. ერთმა სახლის პატრონმა ბ-ნმა დობრჟანსკიმ, ქალაქის სამმართველოს საჩივარი გაუმართა, მე მტკვრის წყალი მინდოდა, იმისთვის შევეკარი პირობით ბ-ნ ყორღანოვს და თქვენ-კი ავჭალის წყალს მიგზავნითო; ან ფასი დამიკელით ან არა და პირობის ქაღალდი გამიბათილეთო. ოლქის სასამართლომ ბ-ნ დობრჟანსკის საჩივარი უარ-ჰყო, ხოლო სამოსამართლო პალატამ შეიწყნარა. ქალაქის სამმართველომ ეს საქმე სენატში გადიტანა. სენატმა ქალაქის საჩივარი უარ-ჰყო, კასსაციით პირობის ქაღალდის შინაარსის განხილვა არ შეიძლებაო. ამ რიგად სხვა სახლის-პატრონებსაც შეუძლიანთ ბ-ნ ყორღანოვის ხელ-შეკრულობა გააბათილონ, და ქალაქის სამმართველოს თითქმის არაფერი უყიდნია ბ-ნ ყორღანოვისაგან და 150,000 თუ 200,000 მანეთი ტყუილად დაჰკარგა.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ აკაკის თხზულებათა მეორე ტომი. ამ ტომშიაც, როგორც პირველში, წვრილი ლექსებია მხოლოდ მოთავსებული. სულ 316 გვერდია. ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა აცხადებს, რომ ამ ტომისთვის პარიჟში შეკვეთილი სურათი აკაკი წერეთლისა, დროზედ ვერ მოგვესწროთ და იმედია, მესამე ტომისთვის მზად იქნებაო. წიგნი ღირს 1 მან.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი სომხური წიგნი, მოსკოვში დაბეჭდილი, თხზულება პოეტ-პუბლიცისტის სუმბათ შახ-აზიზიანისა: „იუბილეის შთაბეჭდილებანი“. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, მრავალ სურათებით, შეიცავს 76 გვერდს და ღირს 1 მან. და 50 კაპ.

*** მოგვივიდა აგრედვე ახლად დაბეჭდილი მეოცე რვეული ბერანჟეს ლექსებისა, რუსულად, თარგმანი ივან-და-მარიასი და სხვ., ბ-ნ ტხორჟევსკის რედაქციით.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ფრიდემ გუშინ დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობას და სთხოვა, ტფილისის სახელმწიფო ბანკის შემწეობით გადმოგვეცით 73,000 მანათი ამიერ კავკასიის რკინის გზის მოხელეთათვის საჩუქრად დასარიგებლადაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზით მარტის განმავლობაში ბაქოდგან გამოუტანიათ 10,127 ცისტერნი ნავთი და სხვა-და-სხვა ქალაქებში გაუგზავნიათ.

*** მომავალ წლიდგან გალობის სწავლა სავალდებულო იქმნება ყველა გიმნაზიებში. აქამდე-კი ამ საგანს ყურადღებას არ აქცევდნენ, მოსწავლეს რომ სრულიად არა სცოდნოდა გალობა კლასიდგან-კლასში მაინც გადადიოდა.

*** მომავალ წლიდგან სერბიის ყველა სასწავლებლებში რუსულ ენის შესწავლა სავალდებულო იქნება.

*** ტფილისის ყასპებს პირი შეუკრავთ, ან ნიხრი მოვამატებინოთ ქალაქის გამგეობას, ან არა და სულაც ნუ გამოვაჩენთ საკლავსაო. ეს ამბავი რო შეუტყვია პოლიცმეისტერს, მოუწვევია ყასპები და გამოუცხადებია, თუ თქვენ პირი შეჰკარით და დაწესებულ ნიხრს არ დასთანხმდით, მაშინ თქვენ სამუდამოდ აგეკრძალებათ ვაჭრობაო. ყასპები დათანხმდნენ საკლავის ხოცვას და ნიხრის მტკიცედ დაცვას, ვიდრე ქალაქის გამგეობა არ გადასწყვეტს, მოემატოს ფასი ხორცსა, თუ არაო. ქალაქის გამგეობა და განსაკუთრებული კომისია, რომელიც ნიხრს აწესებს ხოლმე, კიდეც შესდგომიან ამის გამოკვლევას, თუმცა არა გვგონია, რომ ეს საქმე ადვილი გადასაწყვეტი იყოს. თუ მხოლოდ იმას მიიღებენ მხედველობაში, რამდენი საქონელია ქალაქში და რა ფასად იყიდება, მაშინ, რასაკვირველია, ნამდვილს ვერას შეიტყობენ; და თუ სოფლებსა და იმ ადგილს მიჰმართავენ, საიდგანაც საკლავი მოდის, მაშინ ამ საქმის გამოკვლევას დიდხანს მოუნდებიან და მანამდე ქალაქს არა ეშველება-რა. ქალაქს რომ ესეთი გაჭირვება არ დაადგეს და ორიოდ ყასბის ნება-ყოფლობაზე არ იყოს დამოკიდებული ფასების აწევ-დაწევა, ქალაქის სამმართველოს ყოველთვის უნდა ცნობები მოსდიოდეს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან, თუ როგორ ფასობს საკლავი ანუ სხვა სანოვაგე და რამდენად ძნელია საკლავის მორეკა.

*** სწორედ ამ რიგადვე პირი შეუკრავთ პურის მცხობლებსაც, თუ ნიხრს არ მოუმატა ქალაქის გამგეობამ, პურის ცხობაზედ ხელი ავიღოთო, ამისთანა თხოვნა კიდეც მიურთმევიათ გამგეობისთვის. ეს თხოვნაც კომისიას გარდაეცა.

*** 7 აპრილს კრება ჰქონდა აღმასრულებელ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს საბჭოს მიერ პურისა და ხორცის ნიხრის დაწესება. კომისიამ ამას წინად რამდენიმე საკლავი იყიდა, დაჰკლა და გამოიანგარიშა, რა ფასადა ჯდება ტფილისში გირვანქა ძროხისა და ცხვრის ხორცი. თანხმად ამ ანგარიშისა კომისიამ შესცვალა ნიხრი და დაადგინა 9 ეპრილიდგან შემდეგი ფასები: ძროხის ხორცი გირვანქა 10 კაპ., ცხვრისა 10 კაპ., და სუკი 16 კაპ. აქამომდე პირველი იყიდებოდა 8 კაპ., მეორე 9 და მესამე 14 კაპეიკად.

*** 8 აპრილს მოხდა კრება ტფილისის მოქალაქეთა. კრებას უნდა ამოერჩია „სტაროსტა,“ ნაცვლად ი. ს. ბულდანოვისა, რომელსაც გაუთავდა ვადა სამსახურისა და რომელმაც აღარ მოინდომა ამ სამსახურში დარჩომა. კრებას დაესწრო 68 მოქალაქე. დაიდგეს ყუთი ბ-ნებმა: აბრაშოვმა, ყაითმაზოვმა, კონიევმა და ედიგაროვმა. ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნა აბრაშოვი, რომელსაც ამოუვიდა 42 თეთრი და 26 შავი კენჭი.

*** ოზურგეთი. აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც აქ არსებობს ეგრედ წოდებული „მეეტლეთა საზოგადოება“, რომლის დაარსებას დიდის სიხარულით მივეგებენით. მარ-

---

ბდა:—«ღმერთმა დამიფაროს მაგისთანა ქაჯის გადაკიდებისაგან, თუნდა ათასი თუმანი მომცენო»!.. სიცილითა და მასხარაობით მოადგნენ ალაზნის ფონს; ამ დროს ლეკის ჯარი მოეწიათ. ვაჭარი, რადგან ცოტა წინ იყო, ჯაგებში გადახტა და დამალვა მოასწრო ეს საქრმო-კი ფარჩა-ფურჩიანად ლეკებმა წაიყვანეს ტყვეთა!..

ახლა ჩვენ მიუბრუნდეთ იმ ამბავს, თამაზ ჯორჯაძას ციხეში რომ შემწყვდეულები იყვნენ. თამაზმა ცოლს უთხრა:—სჩანს ეს ლეკები ჯერ აქედამ წასვლას არ აპირობენ და ვაი თუ ტყვია-წამალი შემოგვაკლდეს, მოდი შენ თელავს წადი და მე თუ საქმეს გამიჭირებენ, თავსაც გავახწევ როგორმეო!.. ცოლიც დათანხმდა. შუა ღამისას, ფეხის ხმა რომ მისწყდა, შეუკაზმა ცხენები, შესვა ცოლი თამაზმა ® ერთის ბიჭით გაისტუმრა თელავში: როცა გათენდა, ბიჭმა მიიხედა უკან და დაინახა ლეკების ცხენების ფეხის მტვერი და ქალბატონს მოახსენა:—„გაუჩქარეთ თორემ აგე საცაა, ლეკის ჯარი მოგვეწევაო!..

თამარმაც ცხენი გააჩქარა; ამ დროს ლეკებმა ალაზნის ჯაგებში გაფანტული ხალხი ნახეს და იმათ დაუბრუნდნენ. როგორც წიწილებს, ისე ჰხოცვენ წვრილ-ფეხობას და დიდრონები ტყვედ მიჰყავთ. როგორც ამოსცილდა თამარ კურდღელაურს, და ლეკებმაც წაუკიდეს ნასომხარში სახლებს ცეცხლები. ამოახწივა ამ ქალმა როგორც იყო თელავს და შევიდა გალავანში; ჰნახა, რომ იქაური ხალხი და ჩინოვნიკობა სულ იქ არიან შეყრილნი. დაუწყო თამარმა ნაჩალნიკს გაცხარებული ლაპარაკი:

— ცოდვა არ არის, რომ თქვენ კაცები ხართ და მე დედაკაცი: რა ჰქენით, რა? გამოიქეცით და აქ დაიმალეთ? ეს საქნელი საქმე იყო!? რატომ ალაზნის პირზედ არ გაჩერდით და რამდენიც ალაზანში შემოსული ლეკი ჰნახეთ, ტყვით გული არ გაუხვრიტეთ, ამოდენა ხალხი დაღუპეთ და ტყვედ წააყვანინეთ!...

რამაზ ენდრონიკაშვლი ჯერ ამის ლაპარაკს გაჩუმებული შესცქეროდა, მერე-კი უპასუხა:

— კნეინა თამარ, თქვენ განუსჯელად გვირისხდებით, მე რომ ლეკებს შევბმოდი იმათთან ჩვენ რას გავაწყობდით? უფრო ბევრს ხალხს არ დამიხოცდნენ და თელავსაც აიკლებდნენ და მაშინ მთავრობის წინაშე რა პასუხი უნდა მეგო?!..

— მაშ რაღა მიგარბევინებთ ალაზანზედა?!.

—ისა, რომ დავით ჭავჭავაძეს უნდა მივშველებოდი, რა ვიცოდი, რომ ისინი გალავანს შეიკეტდნენ და ლეკის ჯარს აქ გამოსასვლელ გზას მისსცემდნენ!...

— გენცვალეთ, ჭავჭავაძის ცოლშვილს მაინც აქ ამოიყვანდით, რომ ასე არ დაღუპულიყვნენ!...

— რა ვქნა! ეგ ჩემი ბრალი არ არის, მე კნეინას მივსწერე: იქნება მართლა შემთხვევა რამ მოხდეს და არ შეგეშინდეთ, გალავანში პენციონის სახლები დავაცლევინე, მზად არის და აქ ამობრძანდით მეთქი, მაგრამ იმათ ეს პასუხი მომცეს: თუ მაგ გვარი რამ იქმნება, თითონ კნიაზი შემატყობინებს და მაშინ ჩამოვალთ!,. ამ ლაპარაკში ერთმა ჩინოვნიკმა წამოიძახა: აი ეხლა რუსის ჯარები მოვლენ, მაშინ შავებმით ლეკებსაო!... თამარმა შეუჰყივლა:

— ჰაი, თქვე ქალაჩუნებო! ჩემი ლეჩაქი მოგახვიეთ მაგ თავზედ!.. ცოლ-შვილს მაგ იმედით ინახავთ?!. ნაჩალნიკმა ეს ჩინოვნიკი გააჩუმა და უთხრა:

— კნეინა თამარს მიეტევება ამ ჟამად, რაც უნდა ბრძანოს!..

თამარმა მიუგო:

— მე მოსატევებელი არა მაქვს-რითქვენსავითა; გთხოვთ, უბრძანო, აქ ერთი ოთახი მეც მომცენ!.. მაშინვე ნაჩალნიკმა სასწავლებლის ერთი ოთახი მიაცემინა და თამარ იქ გავიდა დასასვენებლად!..

მთელს თელავის მაზრას გულები დახეთქილი გვქონდა მართალისა თუ ტყუილის შიშისაგან და ჩვენ თელავშიაც აღარ დაგვაყენა მამაჩემმა, მუხრანს წაგვიყვანა მთელი სახლობა ნიკოლოოზ მუხრან-ბატონის სახლში, მინამ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა...

ბარბარე ჯორჯაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლაც ამ საზოგადოების დაარსების პირველ ხანებში საბუთი გვქონდა სიხარულისა, რადგანაც გვეგონა, რომ ხსენებული საზოგადოება აქაურ მკვიდრთ იმედს გაგვიმართლებდა და დაპირებისამებრ ნატანებსა და ოზურგეთს შუა ეტლით მიმოსვლას გაგვიადვილებდა. მაგრამ იმედი გაგვიმტყუნდა. გაგვიმტყუნდა იმის გამო-კი არა, რომ ეს საზოგადოება ცუდის განზრახვით იყოს დაარსებული, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების წევრთა შორის დაუსრულებელი განხეთქილება ჩამოვარდა. თითოეულმა წევრმა მოინდომა მბრძანებლობა. გაჩნდა კინკლაობა, მტრობა შური, ცილის-წამება და სხვა ამ გვარი სათაკილო ამბები. საქმე აიწეწა, მონასტერი აირია და დღეს იქამდე მივედით, რომ გვგონია, ჩვენის უთაურობის გამო გაფუჭებულ საქმეს ორი შაური უშველის. საქმე ის არის, რომ წინად ოზურგეთს და ნატანებს შუა ერთის კაცის ალაგი ეტლში ათ შაურად ღირდა და ეხლა სამ აბაზადა ღირს. აქ სამწუხარო ის არის, რომ, შესაძლებელი იყო, თუ ვინმე რიგიანად აწარმოებდა ამ საზოგადოების საქმეს, ათ შაურადაც მოსაგები ყოფილიყო. ეს ამბავი ცხადი საბუთია იმისი, რომ ოზურგეთში თავიანი კაცი ან იშვიათია და ან, თუ არის, თავი ნობას არავინ დააცლის.

*** ყარაიაზი: 5 აპრილს, როცა მატარებელი სადგურთან იდგა, ბოროტ-გამზრახველთ გასტეხეს ერთი ვაგონი და საქონელი გამოზიდეს, მაგრამ კონდუქტორებმა ხმაურობა შეიტყეს და გამოუდგნენ ქურდებს. ქურდებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს და მოპარული საქონელი იქვე სადგურს ახლო დაჰყარეს.

იმავე ღამეს ყარაიაზის სადგურზედ გასტეხეს საქონლის საწყობი და გაიტანეს 20 ყუთი ბრინჯი. შემდეგ ოთახი გაუტეხეს რკინის გზის მეისრეს და სხვა რომ ვერაფერი ნახეს, ტანთ-საცმელი მოიპარეს.

საზოგადოდ ყარაიაზსა და ალტაგლის სადგურებზედ ამ ბოლო დროს ქურდობა ძლიერ გახშირდა.

*** ხევი, აპრილის 5: მარტის მეტად დაავადებამ და დიდის თოვლის ჩამოყრამ ერთობ საქმე გაგვიჭირა. მოგეხსენებათ, რომ 1892 წელიწადი მარტო თივის მოსავლით იყო ჩვენში საქები, მაგრამ ის უხვი მოსავალი თივისა, გაავებულმა მარტის თთვემ თითქოს ერთბაშად შთანთქა. ვინც 40—60 ძირობით თივის გასყიდვას ჰფიქრობდა, იმას თავის შინაურ პირუტყვის გამოსაკვებავადაც აღარ ჰყოფნის. გაჭირებული ხალხი თივას სასყიდლად ადგილობრივ ვეღარ შოულობს, კაკავის მახლობლად მდებარე რუსის სოფლებში მიდის და იქ ყიდულობს მამასისხლად.

მარტის თთვეს ვემდურებით, მაგრამ იქნება არც მეტი სიკეთე იმის მოადგილე აპრილმა დაგვაყაროს. დღეს ხუთი დღეა, რაც ეს თთვე დადგა და, თუმცა ჯერ დიდი თოვლი-კი არ ჩამოუყრია, მაგრამ სულ იბურება, ხან წვიმს, და ხან ქარიშხალი მოდის.

*** იქიდამვე: მარტის 24-ს, სოფ. კობში კიდევ შემაძრწუნებელი კაცის კვლა მოხდა: ივანე ალექსის ძე მისოსტოვმა თავისი უმცროსი ღვიძლი ძმა ვასილი მოჰკლა. ბერდანკა გულის ალაგას დაუჭირა, ტყვია მარჯვენა ძუძუსთან მოხვდა. 10 წუთის განმავლობაში სული განუტევა დაჭრილმა. ამ საზიზღარ კაცისკვლის ჩადენას შინაურ უსიამოვნებას აბრალებენ.

*** გაზეთ „მეურნეს“ უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ: ვინც-კი ადევნებს თვალს ჩვენის სამეურნეო საზოგადოების სხდომებს, იმას გაგონილი ექნება, რომ საზოგადოებაში არა ერთხელ აღძრულა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საზოგადოების გამოცემა „შრომა“ რიგიანად ვერ არის წარმართული და ვერ აკმაყოფილებს მკითხველ საზოგადოებას. ეხლა საზოგადოების წევრმა ბ. ა. ვერმიშევმა აღძრა კიდევ ამ საგანზე ლაპარაკი და საზოგადოებას ურჩევს თავისი თვიური გამოცემა საკვირაოდ გადააკეთოს, მოიწვიოს ცალკე რედაქტორი, დააარსოს სარედაქციო კომისია, და სხვ. საზოგადოების საბჭომ უკვე განიხილა ეს წინადადება და გადასწყვიტა, მოახდინოს ეს ცვლილება, თუ აღმოჩნდება იმისთანა სარედაქტორო კაცი, რომელიც სულს ჩაუდგამს ამ გამოცემას. ანგარიშით ეს ცვლილება იწვევს მეტ ხარჯს, დაახლოვებით 1000 მანეთს.

*** 7 აპრილს ივანე იუზბაშევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემი ნათესავი ქალი ალექსანდრე იუზბაშევის ცოლი მოსესა ბალაბეკოვს წაეჩხუბა, ქვა ესროლა და თავი გაუტეხაო. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს მოსკოვის ბალკაში იპოვნეს ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ხმოსანთა არჩევანები ტფილისში

გუბერნიის საკრებულომ შეიმუშავა წესი ხმოსანთა არჩევანისა ტფილისში.

ყველა ამომრჩეველს შეუძლიან მიიღოს ქალაქის გამგეობისაგან წინადვე დამზადებული ფურცელი, რომელზედაც ერთ მხარეს არჩევანების წესი იქმნება დაბეჭდილი და მეორეზედ თვით ამომრჩეველმა უნდა დასწეროს სია იმ კაცთა, რომელთა არჩევაცა სურს ხმოსნებად, და წარუდგინოს შემდეგ ქალაქის გამგეობას; ამომრჩეველს შეუძლიან დაასახელოს მხოლოდ 96 კანდიდატი. ეს სია გამგეობამ დაბეჭდილ ყუთში უნდა ჩააგდოს და ამომრჩეველს მისცეს ბილეთი ზედ-წარწერით: „სია მიღებულია“. მხოლოდ იმას შეუძლიან არჩევანებზე დაესწროს, ვისაც ამ ნაირი ბილეთი ექმნება. ბილეთი საჭიროა შეინახოს ამომრჩეველმა, ვიდრე არჩეულ ხმოსნებს არ დაამტკიცებენ და მათ სიას გაზეთში არ გამოაცხადებენ. გამგეობა მიიღებს კანდიდატების სიას 16-დგან 30 აპრილამდე; შემდეგ გამგეობა გაალებს დაბეჭდილ ყუთს და თვით შეადგენს საერთო კანდიდატების სიას, რომელშიაც მხოლოდ ის მოჰყვება, ვინც ხუთ ამომრჩევლისაგან მაინც არის დასახელებული და აგრეთვე ისიც, ვინც თვითონ მიართმევს გამგეობას განცხადებას, რომ მინდა კენჭი ჩამომიტარონო. კანდიდატების სია გამოცხადდება ტფილისის ყველა გაზეთებში 4 მაისს და ცალკე დაბეჭდილიც გაკრული იქმნება აფიშების ბოძებზედ; იქვე მოხსენებული იქმნება, რომელი კანდიდატი რამდენმა ამომრჩეველმა დაასახელა. კანდიდატებმა უნდა ქაღალდით გამოუცხადონ ქალაქის მოურავს სურვილი კენჭის ჩამოტარებისა 4-დგან 11 მაისამდე. იმათი სახელ-წოდება, ვინც სურვილი გამოაცხადა, ცალკე ქაღალდზე დაიწერება და საკენჭო ყუთს მიეკრობა. ბილეთები არჩევანზე დასასწრებლად დაურიგდებათ ამომრჩეველთ 16 მაისიდგან. უნდა ამორჩეულ იქმნას 80 ხმოსანი და 16 მათი კანდიდატი. ყველა ამომრჩეველს მიეცემა თეთრი ბილეთი რომელთაც შეუძლიან შემდეგ თეთრი და წითელი კენჭები მიიღოს. ორი კენჭი მხოლოდ იმას მიეცემა რომელსაც თვითონაცა აქვს ხმა და წარადგენს რწმუნების ქაღალდს ამომრჩეველ ქალისაგან ანუ მამისაგან, ან არა-და იმის მოწმობას, რომ ის ობლების აპეკუნია. სხვა რწმუნების ქაღალდს ძალა არ ექმნება. კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ 97 ამომრჩეველი დაესწრო. ამომრჩეველთ წაეკითხებათ საქალაქო წესდების ის მუხლნი, რომელნიც არჩევანებს შეეხებიან. კენჭს ქალაქის მოურავი დაურიგებს იმ ამომრჩეველთა დახმარებით, რომელთაც თვითონ მიიწვევს (ასისტენტები). ამომრჩეველმა, კენჭს რომ დაურიგებს, თეთრი ბილეთი უნდა იქვე ჩააბაროს და მიიღოს სხვა ბილეთი წარწერით: „კენჭი მისცა“. რწმუნების ფურცლები ქალაქის მოურავმა უნდა შეამოწმოს. კრება უნდა ემორჩილებოდეს ქალაქის მოურავს, როგორც თავმჯდომარეს, წესის დასაცველად. ვინც თავმჯდომარის ბრძანებას არ დაემორჩილება, კანონით დაისჯება. როცა ყველა ამომრჩეველნი კენჭის-ყრას გაათავებენ, ქალაქის მოურავი ასისტენტებითურთ კენჭის თვლას შეუდგება. კენჭთა რიცხვი ცალკე საარჩევანო ფურცელში ჩაიწერება, რომელიც ამომრჩევლებს მაშინვე წაეკითხებათ და ყველასაგან, ვინც-კი მოისურვებს, ხელმოწერილ უნდა იქმნას. ხმოსნად ის ჩაითვლება, რომელსაც ნახევარზედ მეტი თეთრი კენჭი ამოუვა. თუ რომ 80 კაცზე მეტს ამოუვიდა ნახევარზე მეტი თეთრი კენჭი, მაშინ ხმოსნებად ისინი იქმნებიან აღიარებულნი, რომელთაც შედარებით მეტი თეთრი კენჭი ამოუვათ, დანარჩენები-კი 16 კანდიდატად ჩაირიცხებიან. თუ რომ 80-ზე ნაკლები იქმნა ამორჩეული ხმოსნად და 16-ზე—კანდიდატად, მაშინ ხმოსანთა რიცხვის შესავსებლად ახალი არჩევანი დაინიშნება. ვინც არჩევანებით უკმაყოფილო დარჩება, შეუძლიან 7 დღის განმავლობაში ტფილისის გუბერნატორს მიართვას საჩივარი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**კახეთი** (თელავის მაზრა). მამასახლისს ბევრი რამ სიკეთე შეუძლიან დასთესოს სოფელში, ბევრი რამ შეუძლიან არგოს, თუ გაგებული და მადლიანი, სათნოიანი კაცია და პირიქით, თუ ავია, თუ პირადის ინტერესების მიმდევარია, და სიხარბეს გაუტაცნია, წასულია სოფლის საქმე: ის დაჰღუპავს, ის დაანელებს სოფელს, შესჭამს გლეხ-კაცობას. თითქმის სოფელი არ არის ჩვენსკენ, ოციოდეს მეტი, რომ მამასახლისს არ უჩიოდეს, იმისაგან გაქელილ-გაწიოწყლებული არ იყოს. სუყველგან ერთი და იგივეა: აი, მაგალითად, ავირჩიეთ კაცი მამასახლისად იმ იმედით, რომ საზოგადოებას და მის საჭირ-ბოროტო საქმეებს მოუვლიდა რიგიანად და ერთგულად შეასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ სად არის. სამამასახლისო საქმეები გვერდზეა მიგდებული, თითონ-კი გამოჰკიდებია ათას ნაირ თავის პირად საქმეებს. „აპეკუნად“ გინდათ, ის არი, «პოვერენიათ» გინდათ, ის არი. თითქმის ყოველ ცისმარე დღეს სასამართლოს კარზედ დგას; არენდატორია ზვრებისა და მამულებისა და ის არი, სირაჯია და ისევ ისა ბძანდება, არაყის ზავოდია და ამისია, გზირებია და რამდენიმე სოფლის ყარაული, სულ იმის მუშები არიან და სოფელს-კი არას არგიან; არც-კი ჰყოფნის ეს უსასყიდლო მუშები, იმდენი საქმეები აქვს. სოფელი-კი ამისთანას ფეხებზე ჰკიდია. დაბძანდება კარის-კარ ამისთანა ბატონი სავაჭროდ და აგროვებს ნახევარ ფასად თხლე-ჭქასა. არ მისცემენ იაფად და თავის ნებაზე? არზა,—და იარე თელავს, არ მამცემ და როცა „ტორგში“ გავყიდი, მაშინ ხომ დამრჩება ნახევარ ფასადაო. ამავე დროს სოფლებში გავრცელებულია ათას გვარი ავ-კაცობა: ქურდობა, გადაწვა, ვენახების გადაჭრა, სახლების მტვრევა და სხვა. გლეხი ამ გაჭირებით მივა მამასახლისთან და ეხვეწება ქუდ-მოხდილი: მოხედე, ჩემი გაჭირების დღეც ეს არისო. მამასახლისი ზურგ შექცეული ეუბნება მომჩივან გლეხს: „მე ჩემი საქმე მაქვს და შენთვის არა მცალიან“. უმეორებს გლეხი თავის თხოვნას. მამასახლისი მიიბრუნებს პირს და უბრძანებს მკაცრად: შენ ვერ გაიგონე, ჩემი საქმე მაქვს-მეთქი? გაბრუნდი, თორემ ამას ჰხედავ, დაანახვებს ვეება მათრახს, ან შინდის ჯოხს, რომელიც ხელში უჭირავს განუშორებლივ. ამისთანა გარემოებაში როგორ უნდა იხეიროს სოფელმა, როგორ უნდა მოიკეთინოს, როგორ უნდა გაძლიერდეს და შეიძინოს დოვლათი. ვინც მფარველი უნდა იყოს სოფლისა, ისა სჭამს პირველად, ის უკიდებს ცეცხლს ხალხსა. მეტი ღონე არ არის, ისევ გაგებული, ნასწავლები უნდა აირჩიონ, თავადი იქნება, აზნაური თუ სამღვდელო წოდებისა. უნდა აირჩიონ ამისთანა, ჯამაგირი დაუნიშნონ და მოსთხოვონ ყოველისავე სასოფლო საქმის გაძღოლაცა.

Z

**ს. წყალტუბო** (ქუთაისის მაზრა), 25 მარტი. შარშანდელმა ზარმა და შიშმა ყველანი ცოტად თუ ბევრად დააფაცურა და ხელი გამოაღებინა, ყოველი ღონე იღონონ და წინადვე თავდარიგი დაიჭირონ, რათა წელსაც არ ესტუმროს ჩვენს ქვეყანას, ანუ, უკეთ ვსთქვათ, არ აღსდგეს მკვდრეთით ჩვენი უწინდელი სტუმარი—ხოლერა. თუ აქამომდე ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევდით ყველგან და ყოველიფერში სიწმინდე-სისუფთავის დაცვას, დღეს, ხოლერის შიშითა და მწარე გამოცდილებით, შევიგენით უდიდესი სარგებლობა სიწმინდე-სიფაქიზისა, რომელიც საჭმელზედ არა ნაკლებ საჭიროა ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. აქეთკენ ყოველ სოფელში არჩეულია სანიტარები, გლეხებსაც კომლზე ექვს-ექვსი შაური ჰოკრებილი აქვთ, რომ, თუ ვინიცობაა ხოლერამ თავი იჩინა, ამ ფულით წამლები იყიდონ და საჭირო კაცი დაიქირავონ. რა თქმა უნდა, გლეხების ექვს-ექვსი შაური არ იკმარებს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაც მხარში ამოუდგება გლეხებს და ერთად შეებრძოლებიან საერთო მტერს—ხოლერას. ხოლო სასურველი და სანატრელი ის არის, რომ ეს შებრძოლება საჭირო არ იქნეს, წინდაწინვე ისე მოვემზადნეთ, ხოლერა და მისი მსგავსი სენი სიახლოვესაც ვერ მოგვიდგეს.

შესაძლებელია და საფიქრებელიც, წყალტუბოს საზოგადოება წრეულაც, როგორც შარშან, უმსხვერპლოდ გადაურჩეს ხოლერას, მაგრამ, მოგეხსენებათ „ციხე ერთის-კარიდგან გატყდებაო“ და ამ საზოგადოებისთვის ეს „ერთი კარი“ გახლავსთ აქაური აბანოები, სადაც ზაფხულობით ბევრისგან ბევრი ხალხი იყრის თავს საბანაოდ. მერე რა წოდებისა და სარწმუნოების კაცი გნებავთ, აქ ვერ ჰნახოთ ბანაობის სეზონის დროს, შუა გაზაფხულიდგან ვიდრე შემოდგომამდე: ქართველი, სომეხი, თათარი, ურია, თავადი, გლეხი, აზნაური თუ სამღვდელო? უმეტესი ნაწილი ამათგან რითიმე დაავადებულია, აბანოში ბანაობით განკურნებას ჰლამის. წარმოიდგინეთ ასეთ ალაგას არა თუ ექიმი, ფერშალიც არ არის, რომ გაჭირების დროს კაცმა მოიწვიოს! ამან თქვენი ჭირი წაიღოს, თუ აბანოები და მისი კარ-მიდამო სხვაფრივ მაინც მორთულ-მოწყობილი იყოს. თუმცა აბანოები განყოფილებებად არის დაყოფილი, მაგრამ ისე ურიგოდ და უხეიროდ, რომ შიგ წყალი კარგად ვერ იწმინდება ბანაობის შემდეგ, რადგანაც წყალი ერთი განყოფილებიდგან მეორეში უნდა გავიდეს, მესამე გაიაროს და მეოთხე განყოფილებიდგან გარედ ამისთვის განგებ დაგროვებულის მილიდგან გადმოსდინდეს; ამის გამო აუზებში ჭუჭყი ბევრი რჩება. მოსულთათვის აგებული სადგომებია და ყოვლად უვარგისნი იყვნენ და წელს იანვარში ძლიერმა ქარმა მთლად ბოლო მოუღო: უმეტეს ნაწილს სახურავი ერთიანად გადააცალა, ზოგი შენობა სულ მიანგრ-მოანგრია, ზოგიც მხარ-თეძოზე წამოაწვინა, კარები და ფანჯრები, რომლებშიაც მინის მაგივრობას ქაღალდი, ან ზედ დაჭედილი ფიცარი ასრულებდა, მთლად მილეწა. აბანოს კარ-მიდამოს სისუფთავეზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს! ასეთ ყოფაშია დღეს ჩვენი აბანოები. გადაჭარბებული-კი არ გეგონოთ ეს ამბავი.

მეტია ვსთქვათ, რომ ასეთ ალაგას ზაფხულში ხალხის, მერე კიდევ ავადმყოფების, ჯგუფად ცხოვრება და ისიც უექიმოდ და უწამლოდ, ყოვლად შეუძლებელია და ადმინისტრაცია, როგორც შარშან, წელსაც არ მისცემს არავის ნებას აბანოში

ჩასვლისა და ბანაობისას და აღკრძალვას გარეშე სოფლებიდგან ამ აბანოებზე მოსვლას. ამას უეჭველად უნდა ველოდეთ და თუ ასეთ ყოფაში დარჩა აბანო, აუცილებლად საჭიროც არის; ხოლო ამ აბანოების გაუქმება დიდად საზარალოა აბანოს პატრონთათვისაც, რომლებიც წლიურად რამდენსამე ათასს მანეთს შემოსავალს დაჰკარგვენ, საზოგადოებისათვისაც, სადაც ეს ფული დატრიალდებოდა, და ახლო-მახლო აბანოისა მცხოვრებთათვისაც, რომლებიც ცოტას არა სარგებლობდნენ გარეშე სოფლებიდგან და ქალაქებიდგან მოსულთაგან, რომელთა რიცხვი წლიურად რავდენიმე ათიათასია. აბანოს პატრონები შარშანდელ ზარალს სტიროდნენ და წელს კი უარესი მოელით, თუ რაიმე ღონე არ იღონეს, და ეს ღონე კი ერთად ერთია: აბანოს განყოფილების და აუზების ჯეროვნად მორთვა-მოწყობა, რიგიანი სადგომების აგება მომსვლელთათვის, აბანოს კარ-მიდამოს წმინდათ შენახვა, აბანოს ეზოში ხეების გაშენება, იმის მაგივრად, რომ ახლა ერთიანად მოტიტვლებულია, თხრილების დაწმენდა, რომლებშიაც გველ-ბაყაყები ბუდობენ და ყოველივე ამასთან უეჭველად ექიმის დაქირავება, თუ წლობით არა, ბანაობის სეზონის დროს მაინც.—ჯერ ხოლერის შიშიც რომ არ იყოს, მაინც მეტად საჭიროა აბანოსთან ექიმის ყოლა, ხოლო აბანოსი, სახლეჵისა და ეზოს წეს-რიგზე მორთვა და სისუფთავე ხომ აუცილებლად საჭიროა. — მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ მთავრობამ ნება დართოს და ხალხსაც უშიშრად შეეძლოს აბანოზე სიარული, ზაფხულობით კი არა, ზამთრობითაც.

ყოველსავე ამას, უეჭველია, გრძნობენ აბანოს პატრონები, მაგრამ ვერაფერი-კი ვერ მოუგვარებიათ საქმის დონეზე დასაყენებლად, ალბად მიტომ, რომ ბევრნი არიან, ერთმანერთს ვერ მიჰყვნენ, ვერ შეთანხმდნენ, ვერ მორიგდნენ, ფულის საერთოდ გაღება დაიზარეს, ვერ გაჰბედეს, თუნდაც იმ დარწმუნებითა და მოსაზრებითაც, რომ ორ-სამ წელიწადში, რაც დაეხარჯებათ, ერთი სამად და ოთხად აინაზღაურებენ, თან ყოველ წლიურ შემოსავალი მუდამ წელს იმატებს. რაკი ძალზედ გასჭირდა საქმე, ზოგმა აბანოს პატრონებთაგანმა განიზრახა დაიყაბულოს სხვებიც და მისცენ აბანო იჯარით ვისმე შეძლებულ, თავოსან და ფულიან კაცს. რადგანაც ამ საქმეს სხვაფრივ ვერ მოუარეს, არც ეს განზრახვაა ცუდი, თუ სისრულეში მოიყვანეს, მხოლოდ ვინატრით ასრულებულიყოს ანდაზა: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.“ თუ აბანოები რიგიანად და კარგად მოეწყო, პატრონებს გარდა, საზოგადოებასაც დიდი სარგებლობა ექნება მათგან. ამასთანავე თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ მოკლე ხანში, აბანოს ჯეროვნად მოწყობის შემდეგ, აბანოს მოედანზე მთავრობის მიერ ნებადართული ბაზრობაც გაიმართება.

დასასრულ, არ შემიძლია არ გამოვაქვეყნო ერთი სასიამოვნო ამბავი: რამდენიმე აქაურმა კეთილშობილმა ყმაწვილმა კაცმა განიზრახა: დაითანხმონ წყალტუბოს საზოგადოების თავად-აზნაურობა, გვერდში ამოიყენონ გლეხებიც, ურომლებოდაც არაფერი გაკეთდება სოფლად, გამოიღონ ყველამ შეძლების გვარად ფული და დაიქირავნ ერთი ფერშალი, რომელსაც ბინა აუჩინონ საზოგადოების სკოლისა და სასამართლოს მახლობლად და დაავალონ: იქონიოს პატარა აფთიაქი (რა თქმა უნდა, საზოგადოების ფულით შეძენილი) და უსასყიდლოდ უექიმოს ვინც იმას მიიწვევს ამ საზოგადოებაში.—განზრახვა მეტად კეთილი და საქებურია და ვისურვებთ განზრახვადვე არ დარჩეს და ზემოხსენებულ კეთილშობილ ახალგაზდა კაცებს კეთილშობილურად შეესრულებინოთ და განეხორციელებინოთ.

ლასი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა და ლოცვა-კურთხევა ვუძღვნა სოფელ ღორეშაში მცხოვრებთ: იესე სულაქველიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულ ღორეშის წმ. გიორგის ეკკლესიას ერთ თუმნად ღირებული ბრინჯაოს სანაწილე; იპოლიტე შიწამეს და გურჯია ორჯონიკიძეს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა ხუთ მანეთად ღირებული მაცხოვრის ხატი და მეორემ—ოთხ-მანეთიანი ღვთის მშობლის ხატი.

მღ. ს. ჭუმბურიძე.

# დეპეშა

7 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ ლივადიის სასახლეში გაიმართა საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნა სერბიის დედოფალი ამალითურთ. საუზმეს შემდეგ დედოფალი გამოეთხოვა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, რადგანაც ამ ცოტა ხანში გაემგზავრება იალტიდგან.

ბრიუსელში დაარსებულ საზოგადოებას, რომელსაც 3 მილიონი ფრანკი აქვს თანხად, ნება მიეცა რუსეთში სპირტით ვაჭრობისა და საზღვარ-გარედ გატანისა.

**ბერლინი.** დღეს იმპერატორი და იმპერატრიცა იტალიას გაემგზავრნენ.

**ბრიუსელი.** პალატამ 119 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-სა შეიწყნარა ნისენის წინადადება შესახებ იმისა, რომ მრავალჯერ მოიკრიფოს საარჩევნო კენჭი; ამის გამო მშვიდობიანობა ჩამოვარდა; ჯარები, პოლიცია და ჟანდარმები დაითხოვეს. მუშათა დასის უმთავრესმა საბჭომ გადასწყვიტა ლალუვიერში მუშაობა დავიწყოთო; პალატის გარდაწყვეტილებას ალტაცებით მიეგებნენ. სოციალისტთა მეთაურმა ურჩია 4,000 გაფიცულ მუშებს, ხვალინდელ დღიდგან მუშაობას შეუდგეთო.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტფილისის კუპონები . | 153 | 153 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 241 3/4 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 3/4 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | 99 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 1/4 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალიცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—40)

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—15) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## მექარხნემები
სავაჭრო სახლი
## ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—18)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.